# 1 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVII კვირა [I] თ.
წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი ეპ. და მოძ.
†1787 (მ); წმ. სალომე ქართველი, წამ. (XIIს.)

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

იერ 15,10.16-21; ფს 58; მთ 13,44-46

## ვისაც ყურები აქვს, ისმინოს მთ 13,43

იესო საუბრობს იგავებზე. ყველას არ ესმის მისი ნათქმავი. ვინც საკუთარ თავზეა ორიენტირებული და აქვს თავკერძა აზრები, მას ვერასოდეს გაუგებს; გაუგებს იგი, ვინც ცხოვრობს ღვთის სასუფევლისთვის და თანამშრომლობს მისი მოსვლისათვის. იესო იგავებით აცხადებს თავის თავს და თავის მსახურებას კაცობრიობისადმი: მოვუსმინოთ მას ყურადღებით!

# 2 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVII კვირა [I] მწ.
წმ. ევსები ვერცელელი, ეპ. †372;
წმ. პეტრე ივლ. ეიმარდი, ხუც. †1868

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53

## როგორც თიხაა მექოთნის ხელში, ისე ხართ თქვენ ჩემს ხელში იერ 18,6

იერემია იყენებს ამ უბრალო სურათს, რათა გაგვაგებინოს რომ ვცდებით ყოველთვის მაშინ, როცა ვეწინააღმდეგებით ღმერთის. მას ადარდებს ჩვენი ცხოვრება და არ სურს ის უსარგებლო იყოს. და ამიტომ, თუ საჭიროა, ერევა და ცვლის ჩვენი გზის მიმართულებას.

3 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVII კვირა [I] მწ.

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

იერ 26,1-9; ფს 68; მთ 13,54-58

## არ მოუხდენია იქ ბევრი სასწაული მათი ურწმუნოების გამო მთ 13,58

ნაზარეთი. აქ ხალხი იცნობდა იესოს, როგორც თავისიანს, მარიამის და იოსების ძეს. არავის არ სურდა იმის დაჯერება, რომ იგი უჩვენებდა მათ ღვთის ნებას. ჩემი მეზობლის თუ ახლობელიც მიერაც შეუძლია ღმერთს დამელაპარაკოს!

# 4 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVII კვირა [I] მწ.

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც. †1859 (მ)

2012 ႸႠႡႠႧႨ

იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

## გამოასწორეთ თქვენი გზები და თქვენი ნამოქმედარი იერ 26,13

წინასწარმეტყველის მოკვლა სურთ, იგი კი კვლავაც მოუხმობს მათ მოქცევისაკენ. მოქცევა ის გზა, რომელ-ზეც ღმერთს შესაძლებლობა ეძლევა იზრუნოს ჩვენზე: სანამ ვიქნებით ცოდვებში ღმერთს არ შეუძლია ჩვენი ხსნა, რადგან ამ დროს ჩვენი არჩევანით ვრჩებით მტრის ხელში. მოქცევისაკენ მოწვევა არის ჟან მარი ვიანეის ქადაგების მთავარი სათქმელი, წმიდანისა, რომელსაც დღეს მივა-გებთ პატივს.

5 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVIII კვირადღე, «ბ» [II] მწ

2012 ႩႥႨႰႠ

გამ.16,2-4.12-15; ფს 77; ეფ 4,17.20-24; იო 6,24-35
უდის საკრებულოს დღესასწაული მთაში.

# ჩემი მამა გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან იო 6,32

**გმადლობ, უფალო იესო, ამ გამოცხადებისათვის. „ზეციური პური“ ის კი არა, რომელიცცვივა ღრუბლებიდან, არამედ ის, რომელიც პირდაპირ ღმერთისგან მოდის და კვებას ჩვენს სიყვარულს მის და მოყვასის მიმართ.**

6 ႠႢႥႨႱႲႭ

უფლის ფერისცვალება (დ) [ს] თ
(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

დან 7,9-10.13-14; ფს 96; 2პეტ 1,16-19; მარ 9,2-10

# გაჩნდა ღრუბელი, რომელმაც მოუჩრდილა მათ მარ 9,7

ღრუბელი ბიბლიის ენაზე ღმერთის მოქმედი გვერდითყოფნის ნიშანია მისი ხალხის ისტორიაში. ღრუბელმა ატარა ეს ხალხი უდაბნოში და აღავსო ღმერთის ტაძარი; ახლა ფარავს იესოს მოწაფეებს, სანამ მიხვდებიან, რომ მასთან ყოფნით ისინი ღმერთთან არიან. სწორედ იმ ღრუბლიდან გამოდის მისი ღვთაობრიობის გამოცხადების ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე“! უფრო ფხიზელნი და გონიერნი რომ ვყოფილიყავით არ იქნებოდა საჭირო ჩვენთვის ამის თქმა: „უსმინეთ მას!“

# 7 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVIII კვირა [II] მწ.

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ. †258
წმ. კაეტანე, ხუცესი †1547

2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

იერ 30,1-2.12-15.18-22; ფს 101; მთ 14,22-36

## როცა ისინი ნავში ავიდნენ, ქარი ჩადგა მთ 14,32

თავისი ურწმუნოების გამო წყალში ჩაძირული და დასველებული პეტრე და იესო ადიან ნავში, სადაც დანარჩენი მოწაფეები იყვნენ. ქარი მიყუჩდება ახლა, როდესაც იესო მათთან არის. როცა იესო ჩვენთან არის, არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენი და მსოფლიო ცოდვა არყევს ეკლესიას და აყენებს მას საფრთხის ქვეშ: იესო არ არის შორს, საკმარისია კვლავ შემოვუშვათ იგი.

# 8 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XVIII კვირა [II] მწ.

წმ. დომენიკე, ხუცესი †1221(მ)

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

იერ 31,1-7; ფს : იერ 31,10-13; მთ15,21-28

## იხსნა უფალმა თავისი ერი, ნატამალი ისრაელისა! იერ 31,7

ღმერთო, ჩვენო მამაო, როგორც იხსენი შენი ურჩი ერი, კვლავაც იხსენი შენი ეკლესია. ჩვენ გეურჩეთ შენ, როდესაც ცოდვას მივეცით ჩვენში ზრდის შესაძლებლობა. შენ გიბრუნდებით, შეგვიწყალენ ჩვენ! დაე, შენი ეკლესია კვლავაც იყოს წუთისოფლისათვის გაწვდილი საჩუქარი, ერთობის წყარო და მცირეთა და ტანჯულთათვის ზრუნვის ბიძგი.

# 9 ႠႢႥႨႱႲႭ

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა, (ედიტ შტაინი † 1942)
ქალწ. და წამ. ევროპის მფარველი (დ) ს, წ

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

ოს. 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

## იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი მთ 25,13

არ ვიცით, როდის მოხვალ, უფალო იესო. ის კი ვიცით, რომ ჩვენგან გამგზავრებისას არ მიგიტოვებივართ. დაგვაკისრე პასუხისმგებლობა და ამით გვიჩვენე, რომ გვენდობი. არ გვსურს იმედი გაგიცრუოთ. მოდი, უფალო, იესო! ყოველ წამს შეგიძლია მოხვიდე: გვიყვარხარ და გელით, შენს განკარგულებაში ვართ! შენ მზადმყოფი დაგხვდა წმიდა თერეზა ბენედიქტა, ასევე — ჩვენც. მისი და ჩვენი სიყვარულის გამო შენდამი, დალოცე ევროპის ერები!

# 10 ႠႢႥႨႱႲႭ

წმ. ლავრენტი, †258 დიაკ. და წამ. (დ) [ს] წ.
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

## ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა იო 12, 26

რა საოცარი დანაპირებია! თვით მამა ღმერთი მიაგებს პატივს მას ვინც ემსახურება მის ძეს, იესოს! ამიტომ ჩვენც მივაგებთ პატივს მათ, ვინც ემსახურა ქრისტეს და ფრიად ვწუხვართ იმ ქრისტიანთა გამო, ვინც ასე არ იქცევა. დღეს პატივს მივაგებთ ლავრენტის, რომელიც ემსახურა თავისი ეკლესიის ღარიბებს და რწმენის გამო იტანჯა და მოკვდა. პატივს მივაგებთ და მზადა ვართ ეკლესიის მსახურებისათვის და უფლისათვის მოწამეობისათვის.

# 11 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ყ. XVIII კვირა [II] თ.

წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. (მ); † 1253;
(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. (†589)

2012 ႸႠႡႠႧႨ

აბაკ 1,12 - 2,4; ფს 9; მთ 17,14-20

## მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს აბაკ 2,4

რწმენა სათნოგვყოფს ღმერთის თვალში და სიცოცხლის წყაროა. თავისი რწმენის წყალობით, რაც ღმერთისადმი ძლიერი ნდობითა და მისდამი მარტივი და გაბედული მორჩილებით გამოიხატა, კლარას ცხოვრება იქცა გაბრწყინებულ მაგალითად მრავალთათვის, მცირე დიადი სასწაულებით მოჭედილი, მასზე რომ ჯერაც ყვებიან.

# 12 აგვისტო

რიგ. ჟ. XIX კვირადღე, «ბ» [III] მწ

# 2012 კვირა

3მეფ 19,4-8; ფს 33; ეფ 4,30 – 5,2; იო 6,41-51(52)

## ვისაც ჩემი სწამს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს იო 6,47

გწამდეს, ნიშნავს მიენდო ღმერთს! ის არის სრულყოფილი, სავსე, წმიდა და უსასრულო საუკუნოს სიცოცხლე. მას შუძლია ჩვენი განახლება და აღვსება, როდესაც მივენდობით მის ხელებს. იესო ამას მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვეუბნება. ჩვენ ვენდობით ღმერთს და ვემორჩილებით იესოს, რომელიც მამამ მოგვივლინა.

# 13 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ქ. XIX კვირა [III] მღ

წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუც., წამ. † 235

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

ეზეკ. I,2-5.24-28;ფს I48; მთI7,22-27

## მესამე დღეს აღდგება მთ I7,23

იესო, რამდენჯერ გქონდა ნათქვამი შენი მოწაფეებისათვის, რომ უნდა აღმდგარიყავი. მათ არ ესმოდათ და არც ახსნა-განმარტებას გთხოვდნენ. მეტიც, სევდიანდებოდნენ შენს სიტყვებზე. ჩვენ ვხარობთ, რომ შენ აღდექი: ის აღარ გვაშინებს, ვინაიდან შენ თავად გაიარე ეს გზა და კიდევ უფრო გაბრწყინებული და დიდებული გამოხვედი.

# 14 აგვისტო

რიგ. ჟ. XIX კვირა [III] მღ

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუც. და წამ. †1941

## 2012 სამშაბათი

ეზეკ. 2,8 - 3,4; ფს 118; მთ 18,1-5.10.12-14

კათოლიკე ახალგაზრდების საერთაშორისო დღე

## **ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს** მთ 18,5

იესოს სახელი ჩვენი სიყვარულის ქმედებით განდიდება. ბავშვის მიღება სერიოზული საქმეა, მოითხოვს ყურადღებასა და პასუხისმგებლობას; იესოს სახელით მიღება ნიშნავს უანგარო ზრუნვას, რომელიც ბავშვის საჭიროებიდან კი არ მომდინარეობს არამედ რწმენიდან. არსებობს მიღება, რომელიც გრძელდება რამოდენიმე წუთს, საათს, დღე ან თუნდაც მთელი ცხოვრება. არსებობენ მშობლები, რომლებიც იესოს სახელით ღებულობენ ბავშვებს, ის ბავშვები ნამდვილ მიღებას გრძნობენ.

# 15 აგვისტო

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის
ზეცად აღყვანება (დდ) [ს] თ

2012 ოთხშაბათი

საღ.: 1ნეშ.15,3-4.15-16;16,1-2; ფს 131; 1კორ 15,54-57; ლკ 11,27-28;
დღე: გამოცხ. 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-26; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის მიძინების სამეუფო ტაძრის დღესასწული.

## იზეიმა სულმა ჩემმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში ლკ 1,47

დღეს დიდი დღესასწაულია. დედა ჩვენი თავის სიხარულს გვიჩვენებს. იგი ხარობს ღრმად, სულში ღმერთის ჩვენ-თან და ჩვენთვის ყოფნითა და მოქმედებით, ვის მიერად გრძნობს რომ დახსნილია. ჩვენ ვხარობთ მასთან ერთად, რადგან ღმერთი ჩვენი მხსნელიცაა. განა არ დაგვიხსნა ყოველივე იმის მონობისაგან რაც კი არის სამყაროში? სწორედ დღეს მრავალი ადამიანი ავლენს თავის შინაგან სიცარიელეს: ჩვენ ვუყურებთ მარიამს, და ვუჩვენებთ მათ რომ ჩვენში არის იმედისა და ღიმილის ცხოვრება!

# 16 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ყ. XIX კვირა [III] მღ
წმ. სტეფანე უნგრელი, †1038
(3.VIII) წმ. რაჟდენ მოწამე

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

ეზეკ.12,1-12; ფს 77; მთ 18,21 - 19,1

## ბატონს შეებრალა ის მონა მთ 18,27

იესო პასუხობს პეტრეს, რომელმაც ჰკითხა მას თუ რამდენჯერ უნდა მიუტოვოს შემცოდველ ძმას. იგავი გვიჩვენებს, რომ არ უნდა დავთვალოთ რამდენჯერ უნდა ვაპატიოთ, რადგან ღმერთი არ ითვლის როცა მოგვიტევებს. ღმერთის თანალმობა სრული, სავსე, სრულყოფილია: ჩვენი თანალმობა მისი შვილების თანალმობაა. თუკი ჩვენ არ მივუტევებთ, ნიშანია იმისა, რომ არა გვსურს ვიყოთ მისი შვილები.

# 17 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ყ. XIX კვირა [III] მწ

## 2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

ეზეკ.16,1-15.60.63; ეს 12,2-6; მთ 19,3-12

## **ორნი იქნებიან ერთ ხორცად** მთ 19,5

დიდი არეულობაა დღეს ხალხში კაცისა და ქალის, ქორწინებისა და ოჯახების ირგვლივ. ღმერთში როდია არეულობა, ის მხოლოდ ცოდვის ნაყოფია. საჭიროა ახალგაზრდების აღზრდა (და არა მხოლოდ ახალგაზრდების) რათა დაიხანონ ღმერთის ჩანაფიქრი ოჯახის მიმართ: სექსუალური უნარებისა და ურთიერთობის ინსტრუქცია. ვსწავლობთ, რათა სწორედ გამოვიყენოთ რაიმე ელექტროხელსაწყო: და ჩვენი საკუთარი სიცოცხლის ნიჭების სწორ გამოყენებას არ გავეცნობით? თავიდან ავიცილებთ ბევრს ტანჯვას.

# 18 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XIX კვირა [III] მწ

წმ. აღაპიტო, წამებული † 274

2012 ႸႠႡႠႧႨ

ეზეკ. 18,1-10.13.30-32; ფს 50; მთ19,13-15

## მოიქეცით და იცოცხლებთ ეზ 18,32

ღმერთს სურს გვიხილოს ბედნიერები, როგორც დედას უნდა თავისი შვილების კმაყოფილება. ამიტომ გვაკვირდება და ამჩნევს როცა არასწორ გზას ვადგავართ, რომელსაც მივყავართ უბედურებისკენ, ტანჯვისა და სევდისაკენ. გვიწვევს მუდმივად, ვიცხოვროთ ისე როგორც გვასწავლა: ეს ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ ვიყოთ სიხარულში და გავხდეთ სიხარულის წყარო ჩვენი ძმებისათვის.

19 აგვისტო

რიგ. ჟ. XX კვირადღე, «ბ» [IV] მწ

2012 კვირა

იგავ. 9,1-6; ფს 33; ეფ 5,15-20; იო 6,51-58(59)

## ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემით იო 6,57

იესო, შენ გადარდებს ჩემი სიცოცხლე. გსურს მიჩვენო გზა ნამდვილი სიცოცხლისაკენ, ღრმა, მსოფლიოსათვის სასარგებლო სიცოცხლისაკენ. შენ ხარ ის, ვინც გვაძლევს მას, ოღონდ როგორი გზით?

როცა გღებულობ შენ, მაშინ იზრდება ჩემში ცხოვრება. შენი მიღება, ნიშნავს რომ მე უნდა ვიყო მთლიანად შენი!

# 20 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XX კვირა [IV] თ

წმ. ბერნარ კლერვოელი, აბატი და ეკლესიის მოძღვარი, †1153 (მ)

# 2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

ეზეკ. 24,15-24; ფს : მსაჯ. 32,18-21; მთ 19,16-22

## მოდი! გამომყევი მთ 19,22

ერთი ახალგაზრდა ღმერთის მცნებების შემსრულებელი, მიხვდება რომ არ არის სრულიად დაკმაყოფილებული. ეძებს სრულ და საუკუნოს ცხოვრებას. ეკითხება იესოს. იესო უჩვენებს მას გზას: მიატოვე ყოველივე და გაყევი იმას, ვინც სამუდამოდ დარჩება! წმიდა ბერნარი ასე მოიქცა და ათასობით ახალგაზრდას დაეხმარა იესოს პოვნაში!

# 21 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XX კვირა [IV] თ

წმ. პიუს X, პაპი, †1914 (მ)

2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

ეზეკ.28,1-10; ფს: მსაჯ.32,26-30.35-36; მთ 19,23-30

## ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია მთ 19,26

ღმერთს შეუძლია გვაჩვენოს სიმდიდრის სიცრუე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან წუთში გტოვებს: არაფერი წამოგყვება ამქვეყნის დატოვებისას. ღმერთს შეუძლია ჩადოს ჩვენს გულში მასთან ყოფნის სურვილი. ღმერთს შეუძლია მოგვმადლოს სიხარული, მივატოვოთ სიმდიდრე და ავირჩიოთ იესოსთან ყოფნა.

22 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XX კვირა [IV] თ

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი (მ)

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

ეზეკ. 34,1-11; ფს 22; მთ 20,1-16
(ან. ეს 9,1-6; ფს 112; ლკ 1,26-38)

# მშვიდობა არ მოაკლდება დავითის ტახტს ეს 9,6

მსგავსი სიტყვებით წარუდგენა ანგელოზმა მარიამს შვილი, რომელიც მას ეყოლებოდა. ესაიას მიერ დაპირებული მშვიდობა, მოახლოვდა, პირველრიგში კი მარიამის ცხოვრებაში. იგი ხარობს იესოთი, თავის ძით და ამით ხარობს ღმერთის მთელი სიმდიდრესა, მისი მთელი სიკეთით. სწორედ ეს არის მშვიდობა: იყო სუკუნო, სტაბილური და სასიხარულო სიკეთის მონაწილე. ტკივილი და ტანჯვა არ უშლიან ხელს ამ მშვიდობას, არამედ უფრო ძვირფასს ხდიან მას.

# 23 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XX კვირა [IV] თ

წმ. როზა ლიმელი, ქალწ. †1617

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

ეზეკ.36,23-28; ფს 50; მთ 22,1-14

## მოწვეულები არ იყვნენ ღირსნი მთ 22,8

მესიანურ ქორწინებაზე მოწვეულნი, პირველრიგში, ებრაელები იყვნენ. მათ იესოს უარყოფით, უარყვეს სიცოცხლის სიხარული და სისავსე. სხვები მზად არიან ამ მადლის მისაღებად, რომლის მოცემაც სურს ღმერთს ადამიანებისთვის. დღეს მსურს ვუთხრა ჩემი „ჰო“: მოვდივარ, რათა გავიხარო შენი სიხარულით, ღმერთო ჩემო, მოვდივარ, რათა გავიხარო შენი ძით, იესოთი!

# 24 ႠႢႥႨႱႲႭ

წმ. ბართოლომე, მოც. (დ) [ს] წ

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

გამოცხ. 21, 9-14; ფს 144; იო 1, 45-51

## ამაზე მეტსაც იხილავ იო 1,50

ლამაზია შენი შეპირებანი, უფალო იესო! შენთან ცხოვრებით ყველაფერი დიადი ხდება: შინაგანი მშვიდობა, ძმობა შენს მეგობრებთან, საკუთარი თავის მიძღვნა მათთვის ვინც იტანჯება, რწმენა შენში გვიჩვენებს სასწაულებს, ვხედავთ, რომ ბოროტი ხალხი სიკეთის მაგალითად იქცევიან!

25 აგვისტო

რიგ. ჟ. XX კვირა [IV] მწ

წმ. ლუდოვიკე, †1270;
წმ. იოსებ კალასანცი, ხუც. †1648

2012 შაბათი

ეზ 43,1-7; ფს 84; მთ 23,1-12

# წინამძღვარი ერთი გყავთ თქვენ — ქრისტე მთ 23,10

იესოს ახარებს, იყოს გზა, რომლითაც მივალთ მამასთან, რათა ვიხაროთ მისი სიყვარულით. ამიტომ ის არის ჩვენი მეგზური და გვაფრთხილებს, არ ვენდოთ სხვებს მოძღვრობას რომ გვპირდებიან. გვაფრთხილებს, არც ჩვენ გავხდეთ ჩვენს ძმათა მოძღვრები: ბრმა მეგზურების მეტს ვერაფერს შევთავაზებთ მათ. ჩვენს შორის ყოველთვის უნდა სუფევდეს თავმდაბლობა. არავინაა სრულყოფილი, ყველას გვჭირდება უფლის ხელი.

# 26 აგვისტო

რიგ. ჟ. XXI კვირადღე, «ბ» [I] მწ

# 2012 კვირა

იეს 24,1-2.15-17.18; ფს 33; ეფ 5,21-32; იო 6,60-69(70)

## საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაქვს იო 6,68

პეტრეს სურს გაჰყვეს იესოს. ბევრი დაშორდა მას, რადგან არ ესმოდათ მისი. პეტრე კი, დანარჩენ თერთმეტთან ერთად, მიხვდა, რომ იესოს უნდა გაჰყვე არა იმიტომ გესმის მისი, არამედ იმიტომ, რომ ის „ღვთის წმიდაა“, ნიჭია, რომელიც მამამ მოგვივლინა, რათა გავმდიდრდეთ მისი სიცოცხლით, საუკუნო სიცოცხლით.

არა მსურს განვსაჯო შენი სიტყვა, იესო, ოდენ მივიღო და ვიცხოვრო იგი.

27 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XXI კვირა [I] თ

წმ. მონიკა, †387 (მ)

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

2თეს 1,1-5.11-12; ფს 95; მთ23,13-22

# ჩვენმა ღმერთმა გაგხადოთ მოწოდების ღირსნი 2თეს 1,11

მოციქულის ლოცვაა თავისი ქრისტიანებისათვის. ის ითხოვს მამისაგან, რომ მათი ცხოვრება იყოს სიკეთით ალ-სავსე ერთმანეთის და ყველა ადამინის მიმართ, რომ მათი საშუალებით შეიცნონ ღმერთი, სიყვარულის და მშვიდობის ღმერთი, ღმერთი, რომელიც ცოცხლობს ადამიანებს შორის, რათა დაიხსნას ისინი თავკერძობისაგან და მაცტყუარა კერპ-თაყვანისცემისაგან, წუთისოფელი რომ სთავაზობს.

# 28 აგვისტო

რიგ. ჟ. XXI კვირა [I] თ

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ. †430

# 2012 სამშაბათი

2თეს 2,1-3.13-17; ფს 95; მთ 23,23-26

მარიამის მიძინება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

## თქვენ კი უგულებელყოფთ სამართალს, წყალობასა და ერთგულებას მთ23,23

იესოს შეუძლია საყვედურის თქმა. საყვედური ჭეშმარიტი სიყვარულის თვისებაა. ის საყვედურობს ღვთისმოსავ პირებს: ისინი იცავენ ყველა წესს და ივიწყებენ მოთმინებას, გულმოწყალებას და სულგრძელობას. მამა ხარობს, როცა ხედავს რომ ჩვენ ვაწვდით ძმებს მის მოთმინებას, გულმოწყალებას, ერთგულებას.

# 29 ႠႢႥႨႱႲႭ

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა (მ) [ს]

2012 ႭႧႮႸႠႡႠႧႨ

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

## მე შენთანა ვარ შენს გადასარჩენად იერ 1,19

იოანე ნათლისმცემელი, ისევე როგორ იერემია, ღმრთის ერთგულია და არ ეშინია ჰეროდეს ძალაუფლების. ამ უკანასკნელს ვერ აუტანია ის, რომ ღმრთისადმი მორჩილება მართებს, და ძალადობით ახშობს მის ხმას. მაგრამ ღმერთს შეჰყავს თავისი წინასწარმეტყველი მარადიულ სასუფეველში. ნამდვილი სიკეთე ის კი არაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, არამედ ის რომ სამუდამოდ ვართ მამის გულში.

# 30 აგვისტო

რიგ. ჟ. XXI კვირა [I] მწ

2012 ხუთშაბათი

1 კორ 1,1-9; ფს 144; მთ 24,42-51

მ. ანდრია გოგოლაშვილის მოხსენიება (†1937წ)

# მასში ხართ გამდიდრებულნი ყოველი ნიჭით 1 კორ 1,5

მასში! იესოს მიღება ქრისტიანებისთვის ნიშნავს ღმრთის სიყვარულის სიმდიდრეს. სიყვარული, რომელიც იმას, ვინც მას მიიღებს ცხოვრების წესად, ანიჭებს სიბრძნეს, სიმტკიცეს, ერთგულებას და განსაკუთრებით კი თავმდაბლობას. რაღა აკლია მას, ვინც ამ სიმდიდრეებით ცხოვრობს?

# 31 ႠႢႥႨႱႲႭ

რიგ. ჟ. XXI კვირა [I] მღ

# 2012 ႴႠႰႠႱႩႤႥႨ

I კორ I,17-25; ფს 32; მთ 25,1-13

## გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად მთ 25,1

რამდენ სწავლებას შეიცავს იესოს იგავები! ჩვენი ცხოვრება არის იმასთან შეხვედრა, ვისაც ვუყვარვართ, რათა გადავცეთ ჩვენი სიყვარული. ის მოკვდა ჩვენი სიყვარულისთვის და ჩვენ არ ვიქნებით მუდამ მზად, მისთვის პატივისა და დიდების მისაგებად? იმას ავირჩევთ, რაც ჩვენთვისაა მოსახერხებელი, თუ იმას, რომ ჩვენი ცხოვრებით მის სიხარულსა და დიდებას ვემსახუროთ?